International Scientific Journal **Innovative Economics and Management**
E-ISSN:2449-2604
htpp://iem.ge; editor@iem.ge
Vol. 12 No3.2025

Shorena Meskhidze
E-mail:shorena.meskhidze@bsu.edu.ge
Assistant, Batumi Shota Rustaveli State Universiti
Georgia, Batumi
orcid.org/0000-0001-9801-5347

ENHANCING THE SCHOOL'S PEDAGOGICAL CLIMATE AS A KEY FACTOR IN PREVENTING TEACHER PROFESSIONAL BURNOUT

Abstract: *The primary concern of any development-oriented state is to improve the quality of education. A positive pedagogical climate contributes to the creation of a favorable learning environment, which has a positive effect on student learning. Also, a positive school culture can mitigate the risk of teacher burnout. In the modern civilized world, many things are changing in the field of education every day: standards, methods, technology are improving, the role of the teacher is of paramount importance and his duties are increasing even more. The progress and development of the country largely depends on the knowledge, high qualifications, and professional skills of the teacher. In this regard, caring for teachers is of paramount importance for creating a healthy pedagogical environment in schools. The aim of the study is to find optimal ways to improve the pedagogical climate of the school and to study and analyze important factors for preventing professional burnout and, based on the results of the study, to develop specific recommendations. The teaching profession requires a high level of intellectual, physical, and emotional resources.*

Teachers are required to manage a variety of situations every day. This does not only apply to lesson planning and preparation. They must also be able to solve student behavior problems, teach students with special needs, communicate with parents, collaborate with colleagues, evaluate and record assignments, observe the order established by the administration and the state, and fulfill rules and requirements. Because of this, teachers often become exhausted, they leave teaching or continue ineffective teaching. Teachers have many obligations. Time shortage is an international trend in teaching, and not only in the teaching profession. Numerous and complex requirements from the administration, constant reforms and changes take up a lot of time from teachers, which is a well-known risk factor.

Keywords: *school pedagogical climate, teacher, education, professional burnout.*
JEL classification: *I260, I290*

შორენა მესხიძე
E-mail:shorena.meskhidze@bsu.edu.ge
ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0000-0001-9801-5347

სკოლის პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესება, როგორც მასწავლებელთა პროფესიული გადაღლის თავიდან აცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი

აბსტრაქტი. *განვითარებაზე ორიენტირებული ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი განათლების ხარისხის ამაღლებაა. პოზიტიური პედაგოგიური კლიმატი ხელს უწყობს ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა*

© All authors, 2025

სწავლაზე. ასევე, პოზიტიურმა სასკოლო კულტურამ შეიძლება შეამსუბუქოს მასწავლებლის პროფესიული გადაღლის რისკი. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში განათლების სფეროში დღითიდღე უამრავი რამ იცვლება: სტანდარტი, მეთოდები, იხვეწება ტექნოლოგია, პედაგოგის როლი უმნიშვნელოვანესია და მისი მოვალეობები კიდევ უფრო იზრდება. სწორედ მასწავლებლის ცოდნაზე, მის მაღალკვალიფიციურობაზე, პროფესიულ უნარებზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა-განვითარება. ამ კუთხით პედაგოგებზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია სკოლაში ჯანსაღი პედაგოგიური გარემოს შესაქმნელად. კვლევის მიზანია სკოლის პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესების ოპტიმალური გზების ძიება და პროფესიული გადაღლის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლა, ანალიზი და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

მასწავლებლის პროფესია ინტელექტუალური, ფიზიკური და ემოციური რესურსების მაღალ დონეს მოითხოვს. მასწავლებლებს ყოველდღიურად უამრავი სიტუაციის მართვა მოეთხოვებათ. ეს მხოლოდ გაკვეთილის დაგეგმვას, მომზადებას არ ეხება. მათ უნდა შეძლონ მოსწავლეთა ქცევის პრობლემების მოგვარებაც, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებაც, მშობლებთან ურთიერთობა, კოლეგებთან თანამშრომლობა, დავალებების შეფასება და აღრიცხვა, ადმინისტრაციისა და სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესრიგის დაცვა, წესების და მოთხოვნების შესრულება. ამის გამო პედაგოგს ხშირად ემართებათ გადაღლა, ისინი ტოვებენ მასწავლებლობას ან აგრძელებენ არაეფექტიან სწავლებას. მასწავლებელს უამრავი ვალდებულება ეკისრება. დროის დეფიციტი საერთაშორისო ტენდენციაა სწავლებაში და არამარტო პედაგოგის პროფესიაში. მრავალრიცხოვანი და რთული მოთხოვნები ადმინისტრაციისგან, მუდმივი რეფორმები და ცვლილებები დიდ დროს ართმევს პედაგოგს, რაც კარგად ცნობილი რისკფაქტორია.

საკვანძო სიტყვები: *სკოლის პედაგოგიური კლიმატი, მასწავლებელი, განათლება, პროფესიული გადაღლა.*

JEL კლასიფიკაცია: *I260, I290*

შესავალი

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში განათლების სფეროში დღითიდღე უამრავი რამ იცვლება: სტანდარტი, მეთოდები, იხვეწება ტექნოლოგია, პედაგოგის როლი უმნიშვნე–ლოვანესია და მისი მოვალეობები კიდევ უფრო იზრდება. სწორედ, მასწავლებლის ცოდნაზე, მის მაღალკვალიფიციურობაზე, პროფესიულ უნარებზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდე–ბული ქვეყნის წინსვლა-განვითარება.

სასკოლო კლიმატი და გარემო პირდაპირაა დაკავშირებული საგანმანათლებლო სივრცის ეფექტურობასთან, სკოლის კლიმატს და მის ეფექტურობას განსაზღვრავს ურ–თიერთობები, მოსწავლეებს, სკოლის თანა მშობლებს, მშობლებსა და თემს შორის. ყველა სკოლას თავისი ,,პიროვნულობა" აქვს და მისი გარემო პოზიტიურია თუ ნეგატიური, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობებია ამ სივრცეში, რამდენად და რა ფორმით ხდება იმ გრძნობებისა და შეხედულებების გაზიარება, რომლებიც უჩნდებათ იქ მყოფ

© All authors, 2025

ადამიანებს სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ. ტერმინი „პედაგოგიური კლიმატი“ მოიცავს სასწავლო ატმოსფეროს მთლიანობას, რომელიც მოიცავს მოსწავლეებს, მასწავ–ლებლებსა და ადმინისტრაციას შორის დამოკიდებულებებს, ქცევებს და ურთიერთქმედებებს. პედაგოგიური კლიმატი ეხება საერთო ატმოსფეროს, კულტურას და სასწავლო გარემოს სკოლაში. პედაგოგიური გადაღლა გულისხმობს ფიზიკურ, ემოციურ და გონებრივ გადაღლას, რომელსაც განიცდიან პედაგოგები მათი პროფესიის მოთხოვნების გამო. პროფესიული გადაღლის საკითხების ცოდნა და ამ კუთხით პედაგოგებზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია სკოლაში ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

აქტუალურობა სკოლებში ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა, კიდევ უფრო დაგვანახა აღნიშნული თემის წინ წამოწევის საჭიროება, რადგან ხშირია შემთხვევები, როდე–საც პედაგოგებს მაღალი დატვირთულობისა და სხვა უამრავი პრობლემის გამო შეუმჩნეველი რჩებათ და ინდიფერენტულები არიან ისეთი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, როგორებიცაა ბავშვის საჭიროებაზე მორგებული საგაკვეთილო პროცესი, ბულინგი მოსწავლეებს შორის, არააკადემიურ ინდიკატორებზე ყურადღების გამახვილება და ა.შ. შე–საძლოა, ზოგჯერ პედაგოგების მხრიდან ასეთი საკითხების იგნორირების ერთ-ერთი გამო–მწვევი მიზეზი სწორედ პროფესიული გადაღლა იყოს.

კვლევის მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა

ჩვენი კვლევის მიზანია სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესების ოპტი–მალური გზების ძიება და პროფესიული გადაღლის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლა (საქართველოს სკოლების მაგალითზე), ანალიზი და კვლევის შედე–გებიდან გამომდინარე, რეკომენდაციიების შემუშავება.

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივადაა გადაჭრილი კონკრეტული ამოცანები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური კლიმატის არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესების გზების დადგენა.

კვლევის ჰიპოთეზა:

ვვარაუდობთ, რომ სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული გადაღლის შემცირებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსთვის მასწავლებელთა პროფესიული გადა–ღლის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რადგან განათლების ხარისხის ამაღლება ქვეყნის წამყვანი პრიორიტეტია. მასწავლებლების პროფესიულ გადაღლას საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში საგანგებო ყურადღება ექცევა, რადგან გამოიკვეთა ამ მოვლენის მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა სწავლა-სწავლებაზე.(Hosk, R.R,. 1988). სკოლის მიერ პედაგოგისადმი წაყენებული რთული მოთხოვნები ხშირად იწვევს გადაღლას. ეს ფენომენი „პროფესიული გადაწვა“ მეცნიერულად განისაზღვრება როგორც ფსიქოლოგიური სინდრომი, რომელიც ხასიათდება ემოციური გამოფიტვით და პიროვნული მიღწევების შემცირებით. განსაკუთრებით, გავრცელებულია მათ შორის, რომლებთაც ადამიანთა მომსახურების სფე–როში უწევთ მუშაობა.(Szempruch J,. 2018). რაც საფრთხეს უქმნის მასწავლებლის

© All authors, 2025

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე ვნებს მათს მოსწავლეებს, თანამშრომლებსა და ოჯახებს, რომლებთანაც ისინი ყოველდღიურად ურთიერთობენ. „კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებლები, რომლებსაც გადაწვის სინდრომი აღენიშნებათ, უფრო დოგმატურად ეკიდებიან სამასწავლებლო პრაქტიკას და ხისტად ეპყრობიან სტრუქტურასა და რუტინას, რითაც დაბრკოლებას უქმნიან სკოლის რეფორმირების ყოველგვარ მცდელობას“. (ჯაფარიძე მ., 2013)

სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესება ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული გადაღლის თავიდან აცილებას. მასწავლებელთა პროფესიული გადაღლა ხანგრძლივი პერიოდის სტრესის შედეგია, რაც მომდინარეობს განცდიდან, რომ მასწავლებლის ხელთ არსებული რესურსები სტრესთან გამკლავებისთვის არასაკმარისია და ხშირ შემთხვევაში სტრესორები გადაწონის მათ. მაგ, მასწავლებელებს ყოველდღიურად უხდებათ მოსწავლეებით გადავსებულ კლასებში მუშაობა, პოტენციურად სტრესის გამომწვევი ურთიერთობა მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, კოლეგებთან (ბიწაძე მ., 2013). მასწავ–ლებლებში სტრესის გამომწვევი ფაქტორები შემდეგნაირად ჯგუფდება: მასწავლებლებისა და მოსწავლეების ცუდი ურთიერთობები, დროის მხრივ ზეწოლა, კონფ–ლიქტები, ცუდი სამუშაო პირობები, კონტროლისა და გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების არქონა, ცუდი ურთიერთობები კოლეგებთან, პროფესიული არაადეკვატურობის გრძნობა, ხელმძღვა–ნელობის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა ან ზოგჯერ არარსებობა, დირექტო–რების თანადგომის უქონლობა, უდისციპლინობა, რომ არ ხდება საკმარისი დროისა და რესურსების იმგვარად გამოყოფა, როგორც ეს მასწავლებლებს მიაჩნიათ საჭიროდ; (De Caroli, M,. E., & Sagone, E., 2012) საკმარისად არ აფასებენ პედაგოგების მოსაზრებებსა და იდეებს, სკოლის ადმინისტრაცია არ უჭერს მხარს მასწავლებლებს მშობლებთან კამათისას, არ უსმენენ მათ და შეთავაზებებს (Friedmen, 1991).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლის ფუნქცია შეუცვლელია. დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს, მასწავლებლებს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში (საძაგლიშვილი შ,. აკობია ნ,. 2017). ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცნებები სკოლის შემთხვევაში არის სკოლის კულტურა და კლიმატი. ისინი გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევასა და აკადემიურ მიღწევებზე. სკოლის კულტურა გულისხმობს წარმოდგენებსა და მოლოდინს, რომლებიც სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაშია ასახული, იმის ჩათვლით, თუ როგორ ურთიერთობენ თანამშრომლები და რა ნორმებსა და შეხედულებებს იზიარებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სხვა თანამშრომლები. სკოლის კულ–ტურა არის სოციალურად მიღებული ცოდნა იმისა, თუ როგორია და როგორი უნდა იყოს სკოლა. სკოლის კლიმატი მის არსს წარმოადგენს და სწორედ ის განაპირობებს იმას, თუ რამდენად უყვართ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და სხვა თანამშრომლებს სკოლა და რამდენად უხარიათ ყოველ დღე იქ ყოფნა(საძაგლიშვილი შ,. აკობია ნ,. 2017). როგორც აღვნიშნეთ, სკოლის კულტურა არის დადგენილი ნორმების, ფასეულობების და რწმენების, რიტუალების და ცერემონიების ერთობლიობა, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას სკოლაზე. სკოლის კულტურა განსაზღვრავს სკოლის კლიმატს ანუ

© All authors, 2025

მოსწავლის, მასწავლებლის და ადმინისტრატორების აზროვნების სტილს და გრძნობებს, რაც შესაძლოა გადამწყვეტ როლს ასრულებდეს ეფექტური სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შექმნაში. ამრიგად, სკოლის კულტურა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სკოლის კლიმატი. სხვა სიტყვებით, სკოლის კლიმატი ეხება სასკოლო ურთიერთობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეების შემეცნებით, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. თავის მხრივ, სკოლის კლიმატი კონკრეტულ კლასებში არსებული გარემოს ერთობლიობაა.

შესწავლილია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის ეფექტურობის ამაღლებას (Sergiovanni, 2014): **სკოლის კლიმატი,** სადაც დირექტორები ეხმარებიან მასწავლებლებს, მასწავლებლები კი – ერთმანეთს, სადაც მხარდაჭერილია თანამშრომლობითი ურთიერთობები და მასწავლებლებს შორის სოციალური ურთიერთობების მაღალი დონე; თანამშრომლობითი ღირებულებები, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების ერთობლივ მიღებას და ინფორმაციის ერთობლივად მოძიებას, ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის მიზეზშედეგობრივი ურთიერთობებისა და სამუშაოს შედეგებზე პასუხისმგებლობის მაღალი დონის წარმოქმნას; (Marzano, R.J,. Ficherin, D. J,. Follock, J. I,. 2009) **სკოლის კულტურა,** რაც აყალიბებს მიზნის განცდას, საერთო ღირებულე–ბებსა და იდეებს და ამ იდეებზე დაფუძნებულ ანგარიშვალდებულების სისტემას, ხელს უწყ–ობს მაღალ სტანდარტებსა და მოლოდინებს, მაღალი დონის კმაყოფილებასა და თვით–შეფასებას და განცდას, რომ სამუშაო მნიშვნელოვანი და აზრიანია. **თანამშრომლობითი ურთიერთობები** და მასწავლებლებს შორის სოციალური ურთიერთობების მაღალი დონე ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მაღალ განცდას. (შუკაკიძე ბ,. ინგოროყვა ნ,. რატიანი მ,. ბარაბაძე კ,. კვირიკაშვილი ე,. ლობჟანიძე ს,. ნაცვლიშვილი ნ,. 2021)

მასწავლებლებში პროფესიული გადაღლის თავიდან აცილება, მისი წარმატებული პრევენცია განათლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხია, ვინაიდან სწავლა-სწავლების ეფექტიანობის მისაღწევი მნიშვნელოვანი კომპონენტებია მოტივაცია და ჯანსაღი დამოკიდებულებები, ხოლო პროფესიული გადაღლის გამოვლენის შემთხვევაში მოტივაცია იკლებს, რაც საბოლოო შედეგზე აუცილებლად აისახება უარყოფითად. (Özer N,. & Beysioglu K,. 2010) სწავლა-სწავლების ორმხრივი პროცესზე გავლენას ახდენს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის ფაქტორი, ხოლო მასწავლებლებში პროფესიული გადაღლა საბოლოოდ მოქმედებს მოსწავლეთა ქცევასა და დამოკიდებულებებზეც.

კვლევების მიხედვით, მასწავლებლები, რომლებიც არიან გადაღლილნი, უფრო დოგმატურად ეკიდებიან პროფესიას და ეწინააღმდეგებიან სკოლის რეფორმებს. გადაღლის პრევენცია და მასთან ბრძოლა ერთ-ერთი სერიოზული საკითხია განათლებაში. მოსწავლეთა მოსწრების ასამაღლებლად აუცილებელია, სკოლაში მუშაობდნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პოზიტიურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ საკუთარი თავის, სამსახურისა და მოსწავლეების მიმართ. (ალანია მ,. ბოხუა ა,. დავითაშვილი მ,. დევაძე ქ,. სამსახარაძე რ,. ფანჩულიძე თ,. ყიფიანი ე,. 2021)

პროფესიული გადაღლის შემცირება აუცილებელია, რადგან პედაგოგებმა არამარტო უნდა გადასცენ ცოდნა, არამედ ხელი შეუწყონ მოსწავლეების მორალურსა და ეთიკურ განვითარებას, იმოქმედონ სოციალური მუშაკებივით და ფსიქოლოგებივით, დაესწრონ

© All authors, 2025

კომიტეტის შეხვედრებს, კონფერენციებს, რაც დაეხმარებათ პროფესიულ განვითარებაში, უნდა დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, შეხვდნენ მშობლებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობებში და ა.შ.“ (Taylor et al., 2005; Lens & Neves de Jesus, 1999; Lumsden, 1998). თვითზრუნვის გარეშე მასწავლებელი ვერ შეძლებს, იზრუნოს საკუთარი მოსწავლეების საჭიროებებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე“. პროფესიული გადაღლის პრევენცია მასთან ბრძოლის ყველაზე კარგი სტრატეგიაა და გაცილებით იაფი, ვიდრე გადაღლის გამოვლენის შედეგად განხორციელებული ინტერვენციის ღონისძიებები (ალანია მ,. ბოხუა ა,. დავითაშვილი მ,. დევაძე ქ,. სამსახარაძე რ,. ფანჩულიძე თ,. ყიფიანი ე,. 2021)

თითოეული მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლების ურთიერთდახმარების უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთი კოლეგიალური ურთიერთობები არის სკოლის წარმატებული საქმიანობის წინაპირობა, სკოლის პრესტიჟისა და სიძლიერის საფუძველი, ძლიერი სკოლა კი საწინდარია განათლებული და ზნეობრივად სრულყოფილი თაობის აღზრდისა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ძლიერების საწინდარს წარმოადგენს. (ლობჟანიძე ს,. 2012)

მეთოდოლოგია

ჩამოყალიბებულმა ჰიპოთეზამ და კვლევის ამოცანებმა განსაზღვრა ჩვენს მიერ კვლევის მეთოდების შერჩევა:

- თვისებრივი კვლევა - ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი,
- რაოდენობრივი კვლევა - ანკეტირება,
- კვლევის შედეგები.

ჩავატარეთ ონლაინ/პირისპირ გამოკითხვა. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო ზოგადსაგანმა–ნათლებლო დაწესებულების პედაგოგები, დირექტორები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები: ანკეტური გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები (პედაგოგები, სკოლის დირექტორები), მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები - ანკეტა მასწავლებლებისთვის, დირექტორებისთვის, ინტერვიუს კითხვარი (ფოკუს-ჯგუფისთვის და ინდივიდუალური ინტერვიუებისთვის). კვლევა ჩატარდა საქართველოს 15 საჯარო სკოლაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 200 რესპოდენტმა, მათგან ზოგად–საგანმანათლებლო სკოლის VII-XII კლასების სხვადასხვა საგნის მასწავლებელი და 15 - სკოლის დირექტორი. კვლევამ მოიცვა სამი ეტაპი, **პირველ ეტაპზე** კვლევის ერთ-ერთ მეთოდად გამოვიყენეთ ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. ჩატარდა ინტერვიუ მასწავლებლებთან, **მეორე ეტაპზე** ანკეტური გამოკითხვის მეთოდით ჩატარდა VII-XII კლასების სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ონლაინ გამოკითხვა, ხოლო **მესამე ეტაპზე** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორების ონლაინ გამოკითხვა და გაანალიზდა თითოეულ ეტაპზე განხორციელებული კვლევის შედეგები. გამოკითხვის დროს დავინტერესდით შემდეგი კითხვებით: რას ნიშნავს თქვენთვის პედაგოგის პროფესია? რა იწვევს მასწავლებლების პროფესიულ გადაღლას და როგორ უნდა ამოიცნოს მასწავლებელმა საგანგაშო სიმპტომები? გრძნობთ, რომ ხართ ფიზიკური და ემოციური ენერგიისგან დაცლილი ? ამჩნევთ თუ არა, რომ ადვილად გაღიზიანებენ თანამშრომლები და გუნდის წევრები? გაქვთ განცდა, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების

© All authors, 2025

უნარი გაქვთ? გაქვთ განცდა, რომ დრო არ გყოფნით იმ საქმეების უმეტესობისთვის, რომელთა გაკეთებაც ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო?

შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით ფოკუს-ჯგუფების მონაცემები: **კითხვაზე: როგორი მახასიათებლებით გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო პედაგოგიური კლიმატი? მასწავლებლები:** „მყარი ღირებულებების სისტემით, ქცევის მდგრადი წესებით და ურთიერთპატივისცემით“, „პოზიტიური სასკოლო გარემო გამოირჩევა ურთიეთდახმარებაზე ორიენტირებულობით, ნდობით, გამოცდილებისა და ხედვების გაზიარების ჩვევით“, „ერთმანეთის წარმატების საერთო წარმატებად აღქმის უნარით, გამოწვევების დაძლევაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილით“, „შედეგზე ორიენტირებული შეთანხმებული და თანმიმდევრული ქმედებებით“, „პოზიტიური კომუნიკაციით“.

კითხვაზე: კონკრეტულად რა იწვევს მასწავლებლების პროფესიულ გადაღლას და როგორ უნდა ამოიცნოს მასწავლებელმა საგანგაშო სიმპტომები?

მასწავლებლები: „თვითზრუნვის იგნორირების გარდაუვალი შედეგია მასწავლებლების პროფესიული გადაწვა“. „თუ კი მასწავლებელი ვერ შეძლებს საკუთარ თავზე ზრუნვას, ის ვერ იზრუნებს მოსწავლეების საჭიროებებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე“; „მასწავლებლების გადაწვის მანიშნებელია ფიზიკური და ემოციური გამოფიტვის შემდეგი გამოვლინებები: სკოლისა და მოსწავლეების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა, საქმიანობის მობეზრება, უენერგიობა, გუნება-განწყობილების დაქვეითება, დისციპლინასა და კლასის მართვაზე ნაკლები ზრუნვა, მოსწავლეების სწავლის სტანდარტის დაწევა, მოსწავლეების გაგებისა და მათი თანაგანცდის უნარის შემცირება, საკუთარი საქმიანობისადმი გულგრილობა, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების სირთულე, კოლეგებისგან იზოლირება, მუდმივად საქმით გადატვირთულობის განცდა, კრეატიულობისა და პროდუქტიულობის კლება“. „მასწავლებელი როდესაც გადაღლილია სწავლა-სწავლების პროცესი ნაკლებად ეფექტიანი და უხალისოა“. „ „მართლაც გადაღლილი ვარ, შაბათ-კვირის ჩათვლით ვესწრებოდი ტრენინგს, ვერ ვახერხებდი გაკვეთილისთვის მომზადებას, რადგან ტრენინგების მოსმენით ვიყავი დაკავებული“; „იმდენად ბევრ უინტერესო დავალებებს გვაძლევენ, რომ ზოგჯერ მიფიქრია წავიდე სკოლიდან“. „არავის ვურჩევ მასწავლებლობას, იმდენად გადაგვღალეს, ვესწრებით უინტერესო ტრენინგებს, გვატარებინებენ უინტერესო ღონისძიებებს, არ არის ბავშვზე ორიენტირებული სწავლება, საღამოთი ბავშვებსაც ვამზადებ“.

კითხვაზე: რა არის სასკოლო კულტურა?

მასწავლებლები: „ეს არის სკოლის ყოველდღიური ცხოვრების წესი“. „იმ რწმენის, აღქმების, ურთიერთობების, დამოკიდებულებების, დაწერილი და დაუწერელი წესების ერთობლიობა, რომლებიც ძერწავს და გავლენას ახდენს სკოლის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ასსპექტზე“.

კითხვაზე: **როგორ შევქმნათ პოზიტიური სასკოლო კულტურა?** „სასკოლო კულტურა იქმნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ სკოლის დირექტორის ლიდერობით და პირადი მაგალითით. პოზიტიური სასკოლო კულტურის შექმნისთვის აუცილებელი სკოლის ყოველდ–ღიური ცხოვრების წესის ობიექტური შეფასება. პოზიტიურ სასკოლო კულტურას შეუძლია განვითარებაზე ორიენტირებული სტაბილური და ჯანსაღი გარემოს შექმნა სწავლა -

© All authors, 2025

სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, ამიტომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებშია მისი შენება და დაცვა.

კითხვაზე, გრძნობთ, რომ ხართ ფიზიკური და ემოციური ენერგიისგან დაცლილი? გამოკითხულთა 61% ძალიან ხშირად გრძნობს ფიზიკურ დაღლილობას; 23% აღნიშნავს, რომ ხშირად არის დაქანცული, ენერგიისგან დაცლილი; 7%- ზოგჯერ, 6%- იშვიათად, ხოლო 3% - სრულიად არა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ხშირად გრძნობს ფიზიკურ და ემოციურ დაღლილობას.

კითხვაზე, ამჩნევთ თუ არა, რომ ადვილად გაღიზიანებენ თანამშრომლები და გუნდის წევრები? რესპოდენტთა 23% აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ხდება მათი გაღიზიანება თანამშრომლების მხრიდან, 57% -ზოგჯერ, 12%- იშვიათად, ხოლო 8% -სრულიად არა. რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ მასწავლებლების უმრავლესობა თვლის, რომ ადვილად აღიზიანებენ გუნდის წევრები.

კითხვაზე, გაქვთ განცდა, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების უნარი გაქვთ? კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლების 63% აცხადებს, რომ ხშირად აქვთ განცდა, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების უნარი აქვთ, 24% -ზოგჯერ, 10%- იშვიათად, ხოლო 3% -სრულიად არა.

კითხვაზე, გაქვთ განცდა, რომ დრო არ გყოფნით იმ საქმეების უმეტესობისთვის, რომელთა გაკეთებაც ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო? რესპოდენტთა 72% აცხადებს, რომ ხშირად აქვთ განცდა, რომ დრო არ ყოფნით იმ საქმეების უმეტესობისთვის, რომელთა გაკეთებაც ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო, 18% -ზოგჯერ, 6%- იშვიათად, ხოლო 4% -სრულიად არა.

კითხვაზე, გაქვთ განცდა, რომ ბიუროკრატია ხელს გიშლით კარგად მუშაობაში?
რესპოდენტთა 43% აცხადებს, რომ ხშირად აქვთ განცდა, რომ ბიუროკრატია ხელს უშლის კარგად მუშაობაში, 32% -ზოგჯერ, 14%- იშვიათად, ხოლო 11% -სრულიად არა. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა: გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ აქვთ განცდა, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების უნარი აქვთ. დრო არ ჰყოფნით იმ საქმეების უმეტესობისთვის, რომელთა გაკეთებაც ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო.

კითხვაზე, სკოლის რომელი ასპექტია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
მასწავლებელთა 54%-მა დაასახელა სკოლის უსაფრთხოება. 32% თვლის, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა და მოსწავლეთა წახალისებას. 6% აზრით „დისციპლინა“, ხოლო მასწავლებელთა 8% ასახელებს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

კითხვაზე: რა არის სკოლაში მუშაობის ის უპირატესობები, რომელთა გამოც ვინმემ შეიძლება აირჩიოს მასწავლებლობა?
მასწავლებელთა 48% ასახელებს ბავშვებთან, ახალგაზრდებთან მუშაობას. 22%-პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობას საზოგადოებაში, 12%-ზე მეტი თავისუფალ დროს ოჯახისთვის. რესპოდენტთა 8% აღნიშნავს, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს. 7% ასახელებს ნორმალურ ანაზღაურებას, ხოლო 3%-მა კითხვაზე პასუხი არ გასცა.

კითხვაზე: რა უწყობს ხელს მასწავლებლებში მოტივაციის ამაღლებას?
შეკითხვაზე, თუ რა უწყობს მასწავლებლებში მოტივაციის ამაღლებას, დირექტორთა 73% აღნიშნავს მზარდ სახელფასო დანამატს, რესპოდენტთა 15% თვლის, რომ აუცილებელია

© All authors, 2025

პატივისცემა, აღიარება, ხოლო დირექტორთა 12% ასახელებს წახალისებას (სერტიფიკატი, სიგელი..)

მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა, რომ სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რაც ხელს უწყობს მასწავლებლებში მოტივაციის ზრდას.

დასკვნები

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პროფესიული გადაღლის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს როლურ კონფლიქტებს, სოციალური მხარდაჭერის არარსებობას, დამოუკიდებლობის დაბალ დონეს და სხვ. შესაბამისად, პედაგოგთა პროფესიულ გადაღლაზე მოქმედ ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სკოლაში შექმნილი პედაგოგიური კლიმატი.

შედეგების თანახმად პედაგოგებმა სკოლაში მუშაობის ყველაზე დიდ უპირატესობად ჩათვალეს ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მუშაობის შესაძლებლობა. მნიშვნელოვან უპირა–ტესობებად ჩათვალეს პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობა საზოგადოებაში და მეტი თავისუფალი დროის ქონა ოჯახისათვის.

მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა, რომ სასკოლო პედაგოგიური კლიმატის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რაც ხელს უწყობს მასწავლებლებში მოტივაციის ზრდას.

კვლევის შედეგების თანახმად გამოკითხულთა უმეტესობა თვლის ,რომ აქვთ განცდა, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების უნარი აქვთ. დრო არ ყოფნით იმ საქმეების უმეტესობისთვის, რომელთა გაკეთებაც ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო.

სასურველია, სკოლის დირექტორებისათვის მომზადდეს ტრენინგები, კერძოდ, თანამშრომლებში პროფესიული გადაღლის ადრეული ნიშნების ამოცნობის საშუალებები, შესაბამისი ცვლილებების გატარება და ადრეული ინტერვენციების დაგეგმვა პროფესიული გადაღლის პრევენციისათვის.

სკოლის დირექტორს სასურველია, შესწავლილი ჰქონდეს სკოლის პედაგოგიური კლიმატი და შეეძლოს შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება პროფესიული გადაღლის თავიდან ასაცილებლად.

REFERENCES

Alania M,. Bokhua A,. Davitashvili M,. Devadze K,, Samsakharadze R,. Panchulidze T,, Kipiani E,. “The Role of a Psychologist in Improving the School Environment: A Practical Guide”. 2021

Bitsadze, M., “Some Personal and Social Aspects of Teachers’ Professional “Burnout”, Tbilisi: Ilia State University. 2013

Lobzhanidze S. – “Cooperation with colleagues – one of the prerequisites for success”, 2012 https://mastsavlebeli.ge/?p=2517

Shukakidze B., Ingorokva N., Ratiani M,. Barabadze Kh,. Kvirikashvili E,. Lobzhanidze S,. Natsvlishvili N,. "Modern School Management". National Center for Teacher Professional Development. 2021

Japaridze, M. “Professional Burnout of Teachers and Ways to Solve the Problem”; 2013 mastsavlebeli.ge https://edu.aris.ge/news/maswavlebelta-profesiuli-gadawva-da-problemis-mogvarebis-gzebi.html

© All authors, 2025

De Garoli, M. E., & Sagone, E. (2012). Professional self-representation and risk of burnout in school teachers. Procedia-Social and Behavioral Sciences, 46, 5509-5515.

Hock, R. R. (1988). Professional burnout among public school teachers. Public Personnel Management, 17 (2), 167-189.

Marzano, R. J., Ficherin, D. J., & Follock, J. I. (2009). Effective teaching at school, Center for Professional Development of Teachers.

Özer, N., & Beycioglu, K. (2010). The relationship between teacher professional development and burnout. *Procedia-Social and Behavioral Sciences, 2(2), 4928-4932.

Szempruch, J. (2018). Feeling of professional burnout in teachers of secondary schools. The New Educational Review, 54, 219-230.

Demerouti, E., & Bakker, A. (2011). The job demands-resources model: Challenges for future research. *SA J. Ind. Psychol., 37,* , 1–9. https://doi.org/10.4102/sajip.v37i2.974.

Bakker, A., & Demerouti, E. (2017). Job demands–resources theory: Taking stock and looking forward. *J. Occup. Health Psychol., 22* , 273–285. https://doi.org/10.1037/ocp0000056.

Mintzberg H. The structuring of organizations, Englewood Cliffs, NJ,: Prentice Hall, 2000

Willower, D., The Teacher Subculture and Curriculum Change (May 1968, ERIC clearinghouse)

Fisher,D.L. and B.J. Fraser. SLEQ: School Level Environment Questionnaire. In Set: Research Information for Teachers1990 (No.2,Item 5). Camberwell, VIC: Australian Council for Educational Research

Witcher, A.E. Assessing school climate: An important step for enhancing school quality. NASSP Bulletin, 1993, 9, 1 – 5.

Maslach, C., Schaufeli, W. B., & Leiter, M.P. Job burnout. Annual Review of Psychology, 2001. 52, 397-422.

Sweeney, J. School climate: Key to excellence. NASSP Bulletin, 1992, 11, 68-73.

Hubert, J.A., Gable, R.K., E.F. and Iwanicki, (The unit of analysis in the study of teacher stress to school variables. Paper presented at the Annual Conference of the Northeastern Educational Research Association, Ellenville, NY,1983

Pedhazur, E. J. Multiple regression in behavioral research. Orlando, FL: Holt, Rinehart, and Winston, 1982

© All authors, 2025